# შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.589)

29 ივნისი – 6 ივლისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ნაყოფიერი ვიზიტი პოლონეთში



**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი პოლონეთიდან 23 ივნისს გამთენიისას დაბრუნდა. შიოლაშვილი კახეთის მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ერთად პოლონეთში ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტი საინვესტიციო ხასიათს ატარებდა და კახეთის განვითარების ფონდმა დააფინანსა.**

ქალაქ ზეშოვოში, კახეთიდან ჩასული გამგებლები ოფიციალურ პირებს, ქალაქის მმართველს და ბიზნესმენებს შეხვდნენ. ირაკლი შიოლაშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბარში ვიზიტს ნაყოფიერს უწოდებს და შედეგებსაც ელის:

ვიზიტად „მარშალის ფონდის მიწვევით და პოლონური დაფინანსებით ვიმყოფებოდით. აქ 16 გუბერნიაა და გუბერნატორებს მარშალს უწოდებენ. შევხვდით მარშალის მოადგილეებს, ასევე საქმიანი შეხვედრები გავმართეთ ადგილობრივ ბიზნესმენთა ასოციაციებთან, სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან და ა.შ. მათ მაგალითზე შეგვეძლო გვენახა, თუ როგორ შეილება საქართველო 10 წელში სუპერ ევროპული ქვეყანა გახდეს. სიმართლე გითხრათ, ამდენად განვითარებული და ლამაზი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირადად მე არ მინახავს. აყვავებულია წარმოებები, როგორც მძიმე ინდუსტრია, ასევე სოფლის მეურნეობა და, საერთოდ, ყველა დარგი. ძალიან მაღალ დონეზეა მეცნიერული სამუშაოები. შექმნილია უამრავი კვლევითი ცენტრი და რაც მთავარია, ამ ქვეყანაში დაუსაქმებელი ადამიანი ცოტაა, ყველას აქვს თავის საქმე. ნაკლებად პოლიტიზირებული ერია. ძალიან გამიკვირდა, როცა გუბერნატორის მოადგილე ქუჩაში თავისუფლად გადაადგილდებოდა და ხალხი ვერ ცნობდა. ყველას თავისი საქმე რომ აქვს, ხალხი ნაკლებად პოლიტიზირებულია.

ნათლად დავინახეთ, იყო თუ არა განვითარების ის გზა სწორი, რასაც ჩვენ ამჟამად ვადგავართ. ეს კი ნიშნავს ინვესტიციების მოზიდვას, ჩვენი აუთვისებელი რესურსების სწორად შეფუთვას და ინვესტორისთვის მიწოდებას. ითქვა, თუ რა პოტენციალი არსებობს ჩვენს თითოეულ რეგიონში, რათა უცხოელ ბიზნესმენებამდე მივიდეს ინფორმაცია, თუ რითი იქნება მომხიბვლელი მაგალითად კახეთის რეგიონში ინვესტიციების ჩადება. მათთან ერთად ვიმსჯელეთ, როგორ ააყვავეს მრეწველობა და როგორ უნდა გამოვიყენოთ მათი პრაქტიკული გამოცდილება თუ მაგალითი და ასევე როგორ დავაინტერესოთ ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობით.

ძალიან საინტერესო იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების პრაქტიკა ამ ქვეყანაში, რა შედეგებზე გავიდა პოლონეთი და როგორ იქმნებოდა ეს ზონები, რა შეღავათებით სარგებლობენ მეწარმეები. ასევე, საინტერესოა მუნიციპალიტეტის მოწყობის პრინციპი, როგორ ირჩევენ ხელმძღვანელობას. რითი ეხმარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ადამიანებს. როგორ წერენ ცალკეულ პროექტებს და როგორ შეიძლება თანხები მოვიზიდოთ ევროკავშირიდანაც. ვიცით, რომ პოლონეთი 2004 წლიდან ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და სწორედ ეს პერიოდი ითვლება პოლონეთის განვითარებისა და აღორძინების ხანად. ამ კუთხით საინტერესო იყო კახეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს ენახათ, თუ როგორ ქვეყანას უნდა დაემსგავსოს საქართველო უახლოეს წლებში.

**– კონკრეტული ნაბიჯები თუ დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის კუთხით და როდის იგეგმება თქვენს შორის კომუნიკაცია?**

– მომავალში კომუნიკაციას რაც შეეხება, ყველა სახის თანამშრომლობა გარკვეულწილად მაინც პიროვნულ ურთიერთობაზეა აგებული. მინდა ვთქვა, რომ ამ 5 დღის განმავლობაში ძალიან დავმეგობრდით ქალაქ ჟეშოვოს ხელმძღვანელობასა და ზოგადად ამ მხარესთან.

ძალიან განათლებული, მონდომებული და შეყვარებულია საქართველოზე მათი საგარეო და ტურისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქალბატონი მარია, რომელიც მთელ დღეებს ძირითადად ჩვენთან ატარებდა. ძლიან კარგი ხელმძღვანელობაა. უნდა ითქვას, რომ აქაც ახალი შეცვლილია ხელისუფლება. ახლახან ჩატარდა არჩევნები და იქაც ახალი ხელმძღვანელები აირჩიეს. ახალი მარშალი და მათი მოადგილეები ჰყავთ. ორ მარშალს და მათ მოადგილეებს პირადად შევხვდი და საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ.

*(გაგრძელება გვ. 3)*

## „სხვა მეეზოვის ინფორმაციის საფუძველზე არავის გავათავისუფლებდი"...

ნანი ხუციშვილი 61 წლისაა. ის მეეზოვედ მუშაობდა შპს „სერვისი 2007"-ში. ერთი თვეა, ნანი სამსახურის გარეშე დარჩა. ხუციშვილის განცხადებით, ის სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს: „დილით ჩემს უბანზე ვმუშაობდი, ჩამოიარეს და დამინახეს, რომ სამსახურში ვიყავი, შუადღისას კი გამომიცხადეს, რომ გათავისუფლებული ვიყავი"- სამსახურიდან დათხოვნის დეტალებს გვიყვება ნანი ხუციშვილი და დასძენს, რომ მათი ოჯახი სოციალურად დაუცველია. სამსახურის დაკარგვით მისმა შვილიშვილებმა, რომელთაგან ოთხი არასრულწლოვანია, ერთი მარჩენალი დაკარგეს: "მეუღლე დაღუპული მყავს და ცხრასულიანი ოჯახის მარჩენალი მე და ჩემი რძალი ვართ. რძალიც დასუფთავების სამსახურში მუშაობს. ჩემი გათავისუფლების შემდეგ მასაც ემუქრებიან და ეუბნებიან, რომ თუ არ გაჩერდება და დედამთილის გამოსარჩლებას არ შეწყვეტს, მასაც გაათავისუფლებენ"- ამბობს ხუციშვილი.

გაზეთი „შირაქი" სიტუაციაში გარკვევის მიზნით შპს „სერვისი 2007"-ის დირექტორს ელიზბარ ალუღიშვილს დაუკავშირდა:" ნანი ხუციშვილი სამსახურში ხშირად აგვიანებდა, ასევე ხშირი იყო შემთხვევები, როცა ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამსახურის საათებში, რაც სამსახურის შინაგანაწესის დარღვევაა. ამისთვის ის არაერთხელ იყო გაფრთხილებული, გამოეცხადა საყვედური, თუმცა, ამის მიუხედავად, ის მუდმივად აგვიანებდა, რის გამოც იძულებული გავხდი, სამსახურიდან გამეთავისუფლებინა"- განაცხადა ელიზბარ ალუღიშვილმა.

***- ბატონო ელიზბარ, ქალბატონი ამბობს, რომ თქვენ მის რძალსაც ემუქრებით სამსახურიდან გათავისუფლებით...***

- არა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მისი რძალიც ხშირად აგვიანებდა-ხოლმე, მაგრამ გაფრთხილების შემდეგ მან სამსახურში სიარული ჩვეულებრივად, შინაგანაწესის დაცვით დაიწყო, რის გამოც ის დღემდე რჩება შპს „სერვისი 2007"-ის მეეზოვედ.

ნანი ხუციშვილის ოჯახი სოციალურად მართლაც მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ფაქტორი ვერ გახდება მისთვის სამსახურში მუდმივი დაგვიანებისა თუ შინაგანაწესის დარღვევისთვის დაუსჯელობის გარანტი. კანონის დაცვა ყველას მოვალეობაა და მისი დარღვევისთვის თუკი ვინმე დაისჯება, პასუხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს. როგორც ჩანს, საქართველოში საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება ჯერჯერობით მხოლოდ ფუფუნებაა და ბევრ ადამიანს უჭირს. ქალბატონი ნანი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ სხვა თანამშრომლებიც არღვევდნენ შინაგანაწესს და დილის მაგივრად ზოგიერთი საღამოობით მუშაობდა, თუმცა, მის გარდა არავინ დასჯილა. ის უარყოფს, აგრეთვე, სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტსაც და ამბობს, რომ ხელმძღვანელს ის მთვრალი არასოდეს უნახავს, უბრალოდ, სხვა მეეზოვეების ინფორმაციას ენდო...

მის ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს შპს „სერვისი 2007"-ის დირექტორი: „მიუხედავად იმისა, რომ მეეზოვეებს ჰყავს უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც მათი მუშაობის ინსპექტირებას ახორციელებს და მის ინფორმაციას სრულად ვენდობი, მე მაინც ყოველ დილით ვამოწმებ სამუშაო პერიმეტრს და ვაკონტროლებ სიტუაციას, აქედან გამომდინარე, მე მხოლოდ სხვა მეეზოვის ინფორმაციის საფუძველზე არავის გავათავისუფლებდი. რაც შეეხება სხვების მიერ შინაგანაწესის დარღვევისა და პატიების ფაქტებს, ესეც თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა და მას ნამდვილად ვერ გავიზიარებ"-აცხადებს ელიზბარ ალუღიშვილი.

ინგა შიოლაშვილი

### დაზღვევის ახალი პაკეტი 1 ივლისიდან ამოქმედდება

გვ. 3




### ინტერნეტ-მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდება

გვ. 5

### პარლამენტმა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის შეჩერების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა

გვ. 2




### ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge


C M Y K

# 1 ივლისიდან სოციალური დახმარება ორმაგდება

პირველი ივლისიდან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარება ორმაგდება. ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად 60 ლარი გაიცემა, ყოველ მომდევნო წევრზე კი 24 ლარის ნაცვლად 48 ლარი. გაზრდილ სოციალურ დახმარებას 144 000 ოჯახი მიიღებს.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, 1 ივლისიდან ფართოვდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაც. კერძოდ, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და ექიმის კონსულტაციებს, გეგმიური სამედიცინო დახმარება დაემატება. უფასო იქნება ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები.

# პარლამენტმა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის შეჩერების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვის შეჩერების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა. კანონის თანახმად, უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, 2017 წლის 1 იანვრამდე, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება შეუჩერდებათ.

კანონით დადგენილი მორატორიუმი მის ამოქმედებამდე უცხოელების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე არ ვრცელდება.

საქართველოში 2012 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, საქართველოში მიწის შეძენა არ შეეძლოთ. 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ყველა შეზღუდვა უცხოელებზე საქართველოს მიწის გაყიდვის შესახებ. მას შემდეგ, უცხოელებზე ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი გასხვისდა.



# საგზაო წესების დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმები მცირდება

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებები შედის. ცვლილებების თანახმად, საგზაო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა და ამ ჯარიმის დროულად გადაუხდელობისთვის გათვალისწინებული სანქციები მცირდება, მისი გადახდის ვადები კი იზრდება.

ცვლილებების თანახმად, მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მძღოლი 40 ლარის ნაცვლად 20 ლარით დაჯარიმდება. ასევე, მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა მსგავსი ტიპის საშუალებით ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას დადგენილი წესების დარღვევისთვის, 20 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმება იქნება განსაზღვრული. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, 50 ლარის ნაცვლად 25 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

საჯარიმო სანქციების შემცირება მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებისა და შუქნიშნის ამკრძალავ ნიშნებზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევებსაც ეხება. სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მძღოლის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმებების ნაცვლად, 75 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ისეთ შემთხვევებში, როცა სიჩქარის გადაჭარბებას შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება მოჰყვება, მძღოლი 250 ლარის ნაცვლად 150 ლარით დაჯარიმდება.

მცირდება გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სანქცია. მძღოლი ასეთი ქმედებისთვის 50 ლარის ნაცვლად 25 ლარით დაჯარიმდება.

მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა", „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია") ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია", „მოძრაობა აკრძალულია") ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით, ნაცვლად 50 ლარისა.

ჯარიმა ნახევრდება ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე. ამ დარღვევისთვის მძღოლი 100 ლარის ნაცვლად 50 ლარით დაჯარიმდება. ასევე ნახევრდება ჯარიმა წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევებში და მისი ოდენობა 200 ლარიდან 100 ლარამდე მცირდება.

საგზაო და ამკრძალავი ნიშნების დარღვევა, რომელსაც შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება მოჰყვა, რომელმაც საცობის წარმოქმნა გამოიწვია, მძღოლის 200 ლარის ნაცვლად 100 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. პროექტი ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმმა" მოამზადა. ინიციატივის ავტორი დეპუტატი თემურ მაისურაძეა.

# ვანო მერაბიშვილს მოსამართლემ პატიმრობა არ შეუფარდა

ვანო მერაბიშვილს გირგვლიანის მკვლეობის საქმეზე მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ შეუფარდა.

რაც შეეხება გირგვლიანის საქმეში ბრალდებულ დავით ქოქიაშვილს, მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 21 აგვისტოს ჩაინიშნა.

გირგვლიანის საქმეზე ბრალდებულების ვანო მერაბიშვილისა და დავით ქოქიაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე თბილისის საქალქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილი მსჯელობდა.

ბრალდების მხარემ მოსამართლეს ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა აღკვეთის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა.

ბრალდებულ დავით ქოქიაშვილის ადვოკატმა თეიმურაზ კუტივაძემ, ასევე, აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან უკიდურეს შემთხვევაში, დაკავებულისთვის 6 ათასი ლარის გირაოს შეფარდება მოითხოვა. ადვოკატმა მოსამართლეს წარუდგინა ექიმის ცნობა ქოქიაშვილის ავადმყოფობის შესახებ. ადვოკატის ცნობით, ბრალდებულებული გირგვლიანის მკვლელობის ღამის შემდეგ ნევროზით დაავადდა.

„დადგება ის დღეც, როდესაც ნათელი მოეფინება ყველაფერს. მე თავისუფლებაში მყოფი უფრო მეტად შევუწყობ ხელს გამოძიებას. ყველა დარწმუნდება იმაში, რომ ბრალი არაფერში მიმიძღვის", - განაცხადა სასამართლო დარბაზში ქოქიაშვილმა და დასძინა, რომ მან გირგვლიანის მკვლელობის მეორე დღესვე დაწერა პატაკი და წავიდა სამსახურიდან.

პროცესს არ ესწრებოდა „ნაციონალების" გენმდივანი ვანო მერაბიშვილი. მან სასამართლოში მისვლაზე უარი განაცხადა.

# არჩილ კბილაშვილი - მალე მიიღებთ პასუხს, მოკლეს თუ არა ზურაბ ჟვანია

„ზურაბ ჟვანიას საქმეზე გამოძიება წინ მიდის და მალე მიიღებთ პასუხს, მოკლეს თუ არა ჟვანია," - ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გაზეთ „ყველა სიახლესთან" ინტერვიუში განაცხადა.

„გამოძიება ჩიხში არ შესულა, პირიქით, წინ მიდის და დარწმუნებული ვარ, წარმატებით დასრულდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზუსტად დადგინდეს, რა მოხდა — ადამიანი მოკლულია, თუ უბედური შემთხვევის მსხვერპლია. ამის გაცხადება ამჟამად მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მაგრამ ყველა საკითხი, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი, პასუხგაცემული იქნება. დღეს რა კითხვაც აფიქრებს და აწვალებს საზოგადოებას — ეს იყო მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა, ამ კითხვაზე მალე მკაფიოდ მიიღებთ პასუხს", - განაცხადა კბილაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრემიერ - მინისტრი ზურაბ ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს დაიღუპა. ოფიციალური ცნობით, ის გასათბობი მოწყობილობიდან გაჟონილი აირით გარდაიცვალა.

# შეღავათიანი ფასის ღამისსათევების არარსებობა — ეკოტურისტების სერიოზული პრობლემა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახლადდანიშნული ხელმძღვანელი რატი ჯაფარიძე ვაშლოვანის ეროვნულ პარკში „ქართუ ჯგუფის" მიერ დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაზეთ „შირაქთან" საუბარში კომენტარს აკეთებს.

„ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთი ახალი დონორი გამოჩნდა და დაინტერესდა ვაშლოვანის ეროვნული პარკით. ქართუ ჯგუფთან ერთად მოვინახულეთ ღამისსათევები, ანუ ბუნგალოები, როგორც მათ ქართველები ვუწოდებთ, და მივიღეთ პირობა, რომ ეს ღამისსათევები უმაღლეს დონეზე გარემონტდება. ასევე ვვარაუდობთ, რომ არსებული ბიუჯეტი უნდა ეყოს გადმოსახედის გაკეთებასაც.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რასაც ეკოტურისტები აწყდებიან საქართველოს მასშტაბით მოგზაურობისას, არის შეღავათიან ფასად ღამისსათევების არარსებობა. ხდება ისე, რომ ზოგან წყალი არაა, ზოგან კი — საწოლი... არადა, ასეთი მოთხოვნა არსებობს — შეღავათიან ფასად (მაგ.20-30-40 ლარად) საოჯახო სასტუმრო მომსახურების მიღებაზე.

ახლახანს ხელმოწერილი მემორანდუმით, ვფიქრობ, ჩვენ გადავდგით ერთი დიდი ნაბიჯი პრობლემის მოსაგვარებლად და ეს ნაბიჯი სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია. ერთი მხრივ არის ორგანიზაცია ელკანა, რომელიც აქამდე ფლობდა ვებგვერდ www.ruraltourism.ge-ს, სადაც მან ერთ-ერთი უცხოური გრანტის წყალობით განახორციელა საოჯახო სასტუმროების აღრიცხვა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. მეორეს მხრივ კი არსებობს ჩვენი სააგენტო, რომელიც თავის თავზე იღებს ელკანას მხარ-



დაჭერას ამ ვებ-გვერდზე არსებული სასტუმროების ქსელის გაფართოებით და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს განთავსებული საოჯახო სასტუმროების ინსპექტირებას," — აცხადებს რატი ჯაფარიძე.

შეგახსენებთ, „ქართუ ჯგუფის" წარმომადგენლებმა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელმა ვაშლოვანის ნაკრძალი 18 ივნისს დაათვალიერეს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები შეაჯერეს. ვიზიტის ფარგლებში გადაწყდა ტურისტული გადმოსახედი პუნქტის აშენებაც, საიდანაც პარკის ვრცელი ტერიტორიის დათვალიერება იქნება შესაძლებელი. გაზეთი „შირაქი" უკვე იუწყებოდა, რომ პროექტი მიმდინარე წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს.

ილია მარტყოფლიშვილი

# №1 სკოლაში 50 პირველკლასელი დარეგისტრირდა

2013-2014 სასწავლო წლისთვის დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში დარეგისტრირებულია 50 პირველკლასელი. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს" სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა განუცხადა, ისინი ახალი სასწავლო წლიდან ორ ჯგუფში გადანაწილდებიან.

„პირველ კლასში პირველი მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაცია.ხოლო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტებს წარადგენენ 21 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით. ამ ეტაპზე ჩვენს სკოლაში დაკომპლექტდა ორი პირველი კლასი. კლასის დამრიგებლებად დამტკიცდნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ლეილა ფიროსმანაშვილი და ბელა სულაშვილი," - აღნიშნავს მაია ლაპიაშვილი.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა 1961 წლიდან ფუნქციონირებს, უკანასკნელი მონაცემებით, მასში 600-მდე მოსწავლე ირიცხება.

# ნაყოფიერი ვიზიტი პოლონეთში

*(პირველი გვერდიდან)*

კონკრეტულად დაგეგმილ ნაბიჯებსა და სამოქმედო გეგმას რაც შეხება, პირველ რიგში ჩვენ უნდა შევფუთოთ ის აუთვისებელი სფეროები, რაც ჩვენს რაიონებს გააჩნია, ხოლო პოლონური მხარე იმუშავებს იმაზე, რომ ის სფეროები მოიძიონ, რომელიც ბიზნესს აინტერესებს და ცდილობენ მონახონ საინტერესო ქვეყნები, სადაც ინვესტიციებს ჩადებენ. იმედი გვაქვს, კონკრეტული ნაბიჯები სულ მალე გამოჩნდება.

**– ვიზიტის ფარგლებში ბევრი საინტერესო შეხვედრა შედგა, კონკრეტულად რომ გვიამბოთ, რა ობიექტები მოინახულეთ და რამ დაგაინტერესათ?**

– ჩვენს ვიზიტს ღვინის ფესტივალი დაემთხვა, სადაც ქართული ღვინოები იყო წარმოდგენილი. ასევე, არყის ქარხნები მოვინახულეთ და მათ ისტორიას გავეცანით. საინტერესო იყო ის, რომ ეს ქარხნები ჭაჭაზე არ მუშაობენ, არაყს ძირითადად ხორბლის და კარტოფილისგან ამზადებენ. გარდა ამისა, ელექტრომობილებისა და თვითნფრინავების ქარხანაშიც ვიყავით, თუმცა ფოტოების გადაღება ბევრგან არ შეიძლებოდა. ასევე გაიმართა ბიზნესმენების დაჯილდოვება და წლის საუკეთესო ნომინაციები დაასახელეს. ამიტომ, ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი იყო. ძალიან დიდი და საჭირო ინფორმაცია მივიღეთ. მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთი დავაინტერესოთ, რომ ჩვენსკენ მაქსიმალურად მოვიზიდოთ ინვესტიციები. მოკლედ რომ შევაფასოთ, ამ ვიზიტმა კახეთის მუნიციპალიტეტების გამგებლებს მნიშვნელოვანი საფუძველი მოგვცა





იმისა, რომ ტურისტული და სამრეწველო კუთხით განვითარება შევძლოთ და ინვესტიციების მოზიდვა მოვახერხოთ.

**– ხომ არ იგეგმება პოლონელი კოლეგების ჩამოსვლა კახეთის რეგიონში, თუ მოიწვიეთ ისინი ჩვენი ქვეყნის გასაცნობად?**

– რამდენიმე თვეში, სავარაუდოდ შემოდგომამდე, ქალბატონი მარია გეგმავს კახეთში ჩამოსვლას, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, დედოფლისწყაროსაც მოინახულებს, თუ არა," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" ირაკლი შიოლაშვილმა.

გავრცელებული ცნობით, პოლონეთის მხარემ კახეთის რეგიონთან ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის განხრით თანამშრომლობის სურვილი თავად გამოთქვა.

ილია მარტყოფლიშვილი

# დაზღვევის ახალი პაკეტი 1 ივლისიდან ამოქმედდება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საყოველთაო დაზღვევის ახალი პაკეტის შესახებ საუბრობს. სერგეენკოს თქმით, პირველი ივლისიდან, ოჯახის ექიმის მომსახურებასთან ერთად, სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება იქნება გათვალისწინებული.

ამასთან, ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევები გაფართოვდება, ხოლო გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას გეგმიური სტაციონარული მომსახურება დაემატება. ახალი პროგრამით, ის პირები ისარგებლებენ, რომლებსაც 1 ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო პაკეტი არ გააჩნიათ.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა აღნიშნა, ფართოვდება ურგენტული შემთხვევების დაფინანსების სპექტრი. პროგრამა ითვალისწინებს ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურების ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებას. ასევე, დაფინანსდება გეგმიური ოპერაციების ფართო სპექტრი, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა, ორსულთა პატრონაჟი და მშობიარობა.

სერგეენკოს განცხადებით, გაფართოებული პროგრამა კარდიოლოგის და ნევროპათალოგის მომსახურებას, ლაბორატორიულ და ინსტრუმენულ კვლევებს, გეგმიური მდგომარეობების მართვას ითვალისწინებს.

„მოსახლეობის 100% მინიმუმ საბაზო მომსახურებით იქნება უზრუნველყოფილი და ეს არ არის მცირე. დაფინანსდება ასევე გულის ოპერაციები, როგორც საკუთრივ, კარდიოქირურგიული, ასევე ინტერვენციები - ანგიოგრაფია, კათეტერიზაცია და სტენდირება. ასევე, გაგრძელდება ბავშვთა გულის მანკის დაავადებების მკურნალობის დაფინანსება" - განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე თქმით, პროგრამის რისკების შეფასებისას შესწავლილია ყველა სამედიცინო დაწესებულება და სამედიცინო პერსონალის თვისობრივი მახასიათებლები. შესაბამისად, 1 ივლისიდან კლინიკებში დაზღვეულთა რიგები არ იქნება.

მინისტრის განმარტებით, ის მსგავს რისკებს არ ელოდება, რადგან მოქალაქეები კლინიკებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს ისედაც მიმართავდნენ, ხოლო 1 ივლისიდან გეგმიური მიმართვიანობის ნაკადი მოიმატებს.

ამასთან, პროგრამით მოსარგებლეებს უფლება აქვთ თავად აირჩიონ სასურველი კლინიკა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

როგორც მინისტრმა განმარტა, დაზღვეულს შეუძლია ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას მიმართოს, რომელიც კანონით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს.

„არანაირი შეზღუდვა არ არის, კერძო კლინიკა იქნება ეს თუ სახელმწიფო. იცით, რომ სამედიცინო დაწესებულების 90% სწორედ კერძო კლინიკებს წარმოადგენს. შესაბამისად, მიმართვიანობაზე შეზღუდვა არ არსებობს. კერძო კლინიკების შეზღუდვის არანაირი ინტერესი არ გვაქვს" - განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება კანისა და ვენერიული დაავადებების მკურნალობას, სერგეენკოს განცხადებით, პროგრამა მსგავსი სნეულებების მკურნალობის დაფინანსებას ოჯახის ექიმის და რიგი სპეციალისტების მომსახურების ფარგლებში ითვალისწინებს.

მისივე თქმით, მსგავსი დაავადებები ამ ფორმატში დაფინანსდება, თუმცა, შესაძლოა, პაციენტს უფრო რთული მკურნალობის კურსი დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში კი დაზღვეული ხარჯებს თვითონ დაფარავს.

საყოველთაო დაზღვევის გაფართოებული პროგრამა 1 ივლისიდან ამოქმედდება და იმ მოქალაქეების დაზღვევას ითვალისწინებს, რომელთაც 28 თებერვლის მდგომარეობით, არანაირი დაზღვევა არ გააჩნდათ. კერძოდ კი, 1 ივლისიდან ამოქმედებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებას. ასევე დაფინანსდება: გეგმიური ოპერაციების ფართო სპექტრი (წლიური ლიმიტი 15 ათასი ლარი. დაფინანსდება 70%-ით); ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა ( წლიური ლიმიტი 12 ათასი ლარი, დაფინანსდება 80%-ით); ორსულთა პატრონაჟი და მშობიარობა (ფიზიოლოგიური 500 ლარი, საკეისრო კვეთა 800 ლარი).

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა



# უფალო,მოხედე აღმართებასა ტაძრისა ამისა!

30 მარტს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა სოფელ გამარჯვებაში ეკლესიის მშენებლობის დასახმარებლად. მაშინ ამ აქციით 5 000-მდე ლარი შეგროვდა, ცოტაც სოფელმა გამოიღო ხელი. ამ საშვილიშვილო საქმისთვის არ დაიშურეს შესაწირი სოფლის გარეთ გასულმა მისმა მკვიდრებმა: - ზოგი დედაქალაქში ცხოვრობს, ზოგიც სხვა ქალაქებში. მათ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობიდან თავისი წვლილი შეიტანეს ტაძრის მშენებლობის დაწყების საქმეში და აი, ასრულდა გამარჯვებელთა დიდი ხნის სურვილი, - დაიწყო ტაძრის მშენებლობა. 24 ივნისს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, ეკლესიის საძირკველი აკურთხა. ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს სოფლის ცენტრში, საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღს შორის არსებულ მიწაზე, სადაც ადრე სასკოლო საცდელი ნაკვეთი მდებარეობდა. ეს გონივრული გადაწყვეტილება მიიღო სოფელმა და მისმა ხელმძღვანელობამ რადგან, სასურველია და მისასალმებელი, რომ აღზრდის, ცოდნის და სულიერების ტაძრები ერთმანეთის გვერდიგვერდ ფუნქციონირებდნენ და თავიანთი საქმიანობით აძლიერებდნენ ერთმანეთს, საბოლოო ჯამში კი - სოფელს, მის მოსახლეობასა და მომავალ თაობებს.

24 ივნისს, ორშაბათს, 12 საათზე ტაძრის საძირკველთან თავი მოიყარა ეპარქიის სამღვდელოებამ მუნიციპალიტეტის და სოფლის ხელმძღვანელობამ, მოსახლეობამ. თვალშისაცემი იყო ახალგაზრდობის და ძირითადად მოსწავლეთა სიმრავლე, აქ ნაკლებად იყვნენ შუახნის და ხანდაზმული ადამიანები, რაც, ერთგვარად იმ სამოცდაათწლიანი ურწმუნო რეჟიმის ნაყოფადაც შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან, არათუ ეკლესიაში სიარულსა და წირვა-ლოცვას, ხალხი საკუთარ სახლებში სანთლის დანთებას ერიდებოდა. იმედია, ის თაობაც მიხვდება, რომ უფალი უზენაესია ყველა ხელისუფალზე და წყობაზე და დამძიმებული სულის განსაწმენდად ღვთის ტაძარს მიაშურებს. ამის იმედს ისიც განამტკიცებს, რომ სოფელს ჰყავს ადგილობრივი მოძღვარი მღვდელმონაზონი იოანე გივიშვილი. მამა იოანე თხუთმეტი წელია, ღვთისმსახურია და მრევლთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს.







- ღვთისმსახურებისა არაფერი გამეგებოდა, წესიერად პირჯვრის გადაწერაც კი არ ვიცოდი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო აკადემიაში ვსწავლობდი. აკადემიას თავისი ტაძარი ჰქონდა. რამდენიმე მეგობარი ხშირად დადიოდა იქ და მეც მირჩევდნენ, მევლო. მაშინ იქ მამა ანდრია მოღვაწეობდა, რომელიც ახლა დეკანოზია. მასთან რამდენიმე შეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი ბედი. ალბათ, უფლისგანაც ასე იყო ხელდასმული, რომ... მე ბერად აღვიკვეცე, თავი და სიცოცხლე მივუძღვენ ღმერთს და მის მსახურებას. სამი წელი ვიყავ გრემის მონასტერში. იქ გავხდი მორჩილიც, ბერიც, დიაკონიც და მღვდელმონაზონიც. უკვე თერთმეტი წელია, მღვდელმონაზონი ვარ. იერარქიული საფეხურები ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, ჩემი საკეთებელი საქმე ვაკეთო ერთგულად და პირნათლად. ხუთი წელი ნეკრესის მონასტერში ვიყავ. შემდეგ ყვერელში, შილდიდან ექვსიოდე კილომეტრის დაშორებით, ალაზნის ველზე იოანე მხედრის სახელობის ეკლესიის მშენებლობის საქმეში ჩავერთე. ცარიელ-ტარიელ მინდორზე მარტო მიწა გვქონდა გამოყოფილი. როგორც იტყვიან, ნოლიდან დავიწყეთ. ახლა იქ ორი დიდი ტაძარი და სამონასტრო კომპლექსია. დიდი ძალისხმევა ჩავდეთ ამ საქმეში. შემოწირულობებთან ერთად მეურნეობა გვქონდა. მესაქონლეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას, ყველაფერს ვეჭიდებოდით. მონასტრის მშენებლობასაც ვახერხებდით და სხვა ეკლესიებს და გაჭირვებულ ოჯახებსაც ვეხმარებოდით. დღე და ღამ ვმუშაობდით. ჯერ კიდევ იმ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩემი თანასოფლელები. გამარჯვებელ ახალგაზრდობას სათავეში გია გოგოჭური ედგა და ისინი ინტენსიურად ჩამოდიოდნენ მშენებლობაზე, მხარში გვედგნენ ფიზიკურად, სულიერად და ეკონომიურად. ასეა დღეს აქაც, ჩვენს სოფელში, ჩვენს მიწა-წყალზე, სადაც ხალხს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა. წლებია, სურვილი სურვილად რჩებოდა და ამ დიდი საქმის დაწყებას საშველი არ დაადგა. უაღრესად მადლობელი ვარ რაიონის ხელმძღვანელობის, სოფლის რწმუნებულის გიორგი გოგოჭურის და მთელი სოფლის ახალგაზრდობის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ დიდ საქმეში. ტაძარი არ იქნება პატარა, მისი პერიმეტრებია: 10, 80X20 მეტრზე და სიმაღლეც 10, 80 მეტრი გახლავთ. ძირითადად აშენდება ბლოკით, მაგრამ გარეთ პერანგი იქნება აგურის, გადახურვა კი - კრამიტით. პროექტი შეადგინა სერგო ქართველიშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში დავით ფხოველიშვილის ხელმძღვანელობით. მშენებლობას ხელმძღვანელობს ამ სოფლის მკვიდრი ინჟინერ-მშენებელი თემურ ალუღიშვილი. მთელი სოფელი ფეხზე დგას. მშენებლობაზე მომუშავეთათვის დღეში ორჯერად კვებას მოსახლეობა უზრუნველჰყოფს. რამდენიმე ოჯახი ერთიანდება და საკვებს ერთობლივი ძალით ამზადებენ. ყველას მადლიერი ვარ. გამორჩეულად კი, მინდა გამოვკვეთო ვაჟა გიგაური, რომელსაც ხელიდან ყველა საქმე გამოსდის. მან უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე, წასულიყო სამუშაოდ თურქეთში, სადაც მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ, დარჩა სოფელში და, როგორც იტყვიან, ჩემი მარჯვენა ხელია, - გვითხრა საუბარში მამა იოანემ.

საძირკვლის კურთხევის ცერემონია მეუფე მელქისედეკმა აღავლინა. მან ოთხივ კუთხივ სანთელი დაანთო, ლოცვები წაიკითხა და ნაკურთხი ქვები საძირკველში ჩაალაგა.

- „დღეს მთელს ეპარქიაში მასიური მშენებლობები მიდის, რაც ძალიან სასიამოვნოა. მათ შორის ერთ-ერთია გამარჯვების ყოვლადწმინდა სამების ეკლესიაც. ამ სოფელს სულ რამდენიმე წელია, რაც სამლოცველო სახლი აქვს და მრევლი საკმაოდ მომრავლდა. ეკლესია მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. მინდა დავლოცო ყველა ადამიანი, ვინც მშენებლობაში იღებს მონაწილეობას ფინანსურად, შრომით თუ ლოცვით. ეს ტაძარი იქნება სახე ჩვენი ეპარქიისა, რადგან ის ამ ეპარქიის შემოსასვლელ პირველ სოფელში მდებარეობს. თანაც ცენტრალურ გზაზე მდებარეობს და გამვლელ-გამომვლელს პირჯვრის გადაწერა შეეძლება.

ჩვენი ეპარქია ალაზნის ორივე მხარესაა გაშლილი. ყველა საქმეში ჩვენი ჰერელი ძმები ჩვენთან არიან და გვაძლიერებენ. მათმა ვაჟთა ფოლკლორულმა გუნდმაც მიიღო მონაწილეობა საქველმოქმედო კონცერტში. უფალს ვთხოვ, მალე გამთლიანებულიყოს ეპარქია არა მხოლოდ სულიერად, არამედ ტერიტორიულადაც. ღმერთმა დაგლოცოთ ყველა და გამორჩეულად მღვდელმონაზონი იოანე, რომელიც ჩამოსვლისთანავე ამ დიდ საქმეს სათავეში ჩაუდგა და იმედია, მალე წარმატებით დააგვირგვინებს. უფალმა დაგლოცოთ ორთავ ქვეყანასა შინა!“ - დალოცა იქ მყოფნი მეუფემ.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები სოფლის მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ.

ირაკლი შიოლაშვილი: - ვულოცავ გამარჯვებელებს ამ მნიშვნელოვან დღეს. სასიამოვნოა, რომ ამ საქმის ინიციატივა სოფლის რწმუნებულის გიორგი ჭინჭარაულისგან წამოვიდა პირველად. ჩენც მხარში დავუდექით. ჩვენი სტრუქტურები დაეხმარნენ, ჩაეტარებინა საქველმოქმედო კონცერტი და ფინანსები მოეზიდა. შერჩეული მიწის პრობლემაც იდგა. ეკონომიკის და განათლების სამინისტროებთან სათანადო მუშაობის შემდეგ მიწა მუნიციპალიტეტს გადმოეცა, ჩვენ კი, ეკლესიის მშენებლობისთვის გამოვყავით. ძალიან მიხარია, რომ ამ ბედნიერ დღეს ჩვენც ვესწრებით. მინდა ვუთხრა გამარჯვებელებს, რომ მათ ძალიან მონდომებული და საქმის ერთგული რწმუნებული ჰყავთ. ერთად დგომით ისინი ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ. “

გიორგი ჭინჭარაული, **სოფლის რწმუნებული,** - ყველას ვულოცავ ამ დღეს, მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მოსახლეობას, ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა. განსაკუთრებული მადლობა მამა იოანეს, რომელიც დაუშრეტელი ენერგიის მქონე და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. მან მთელი სოფელი დარაზმა. დიდი მადლობა ლევან გიგაურს, რომელიც ჩვენი სოფლის გაზრდილია, ამჟამად დედაქალაქში ცხოვრობს, თავის მცირე ბიზნესს ეწევა, მაგრამ დიდი ტვირთი ითავა და საძირკვლის ჩასხმის უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო. ის დღეს ჩვენს გვერდითაა და ესწრება ამ ცერემონიალს. ლევანი სამი შვილის მამაა: ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავს. კარგი ოჯახის ჩამონავალია. მისი მამა ავთო გიგაური ერთ-ერთი ჭკვიანი კაცია სოფელში. ყველაფერი საძირკველით იწყებაო, თქვა ლევანმა და სწორედ საძირკვლის ჩაყრა ითავა. ღმერთმა ხელი მოუმართოს მასაც და ყველას, ვინც ჩვენს დაწყებულ საქმეს შეეწევა. მე იმედი მაქვს იმ ადამიანების, ვინც დღეს დედაქალაქში მოღვაწეობს. დღემდე ფიზიკური პირის ანგარიში გვქონდა. ახლა უკვე ბანკ „კონსტანტაში“ ფუნქციონირებს იურიდიული პირის ანგარიში რომლის ნომერიცაა GE03CN0000036801346467, ბანკის კოდია GNSBGE22, მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქ. N62, სოფელ გამარჯვების ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი. იმედს გამოვთქვამ, შემოწირულობები გაიზრდება.

მარინა ქადაგიძე-სულაშვილი, **მრევლი,** - ემოციებს ვერ ვფარავ, ბედნიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარ, რომ ეს დღე დადგა და საძირკველი ჩაეყარა ტაძარს, რომელიც მთელი სოფლის ნატვრა იყო. დღეს დიდი და პატარა ხარობს. მთელი ღამე არ მეძინა, თვალზე სიხარულის ცრემლს ვერ ვიკავებ და გულში სიყვარულს ვერ ვიტევ, სიყვარულს უფლისას, მოყვასისას. უფლის ტაძრის მშენებლობით ახალი სიცოცხლე შემოვიდა სოფელში.

დიახ, ახალი სიცოცხლე შემოვიდა სოფელში, იქ, სადაც ოდესღაც ლავრენტი ბერიას ძეგლი იდგა სკოლის ეზოში, დღეს ტაძარი შენდება, თეთრი არყის ხისგან გაკეთებული ჯვარი დგას და ყოველ საღამოს დაუჯდომელი იკითხება, პარაკლისი ტარდება და შაბათობით მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი იმართება.

ჩემო ძვირფასო თანასოფლელებო, დიდებო და პატარებო, ყველას გილოცავთ ამ დიდი საქმის დაწყებას. იმედი მაქვს, ეს მშენებლობა არ გაიწელება წლობით და სულ მალე ტაძრის გახსნასაც ვიზეიმებთ. მოგიწოდებთ ყველას - სოფელში მცხოვრებსაც და სოფლიდან გასულ ადამიანებსაც, ვისაც ამ სკოლის თუ საბავშვო ბაღის ეზოში ფეხი დაგიდგამთ, ერთსულოვნად დავუდგეთ გვერდში ამ საშვილიშვილო საქმეს და ჩვენი წვლილი შევიტანოთ, ვისაც რითი შეგვიძლია. გაზეთი „შირაქი“ სისტემატურად მიადევნებს თვალს ტაძრის მშენებლობას, გაზეთის ფურცლებზე დააფიქსირებს და შთამომავლობას შემოუნახავს იმ ადამიანთა გვარებს და სახელებს, ვინც ამ დიდ საქმეს შეეწევა ფინანსურად, შრომით თუ მორალურად. უფალმა გაგვაძლიეროს და შეგვაძლებინოს, რომ მალე ავაშენოთ ტაძარი, სადაც ჩვენ, ჩვენი მამები და დედები, ჩვენი დები და ძმები, ჩვენი შვილები სულის საოხად ილოცებენ, სადაც ჩვენი წინაპრების, ჩვენი მამა-პაპის სულის მოსახსენიებელი და სასუფევლის დამამკვიდრებელი პანაშვიდები გადაიხდება.

ნაირა გორაშვილი



# 1 ივლისიდან ინტერნეტმომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდება



**მინი დოსიე:** დაიბადა 1969 წლის 18 სექტემბერს, 1986 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა,1987 წელს ჩაირიცხა ვორონეჟის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1993 წლიდან, მუშაობდა ჯერ ვორონეჟის ხორცკომბინატში, ხოლო შემდეგ ამავე ქალაქის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში ოსატატად. 2012 წელს, მანამდე რუსეთის მოქალაქე ზურაბ ჯორკოშვილი იღებს საქართველოს მოქალაქეობას და ბრუნდება საქართველოში იმ მიზნით, რომ თავისი პროფესიული გამოცდილება თავის ქვეყანას მოახმაროს. რამდენიმე თვის წინ ზურაბ ჯორკოშვილმა ქალაქ თბილისის „სილქნეტის" სერვისცენტრში ერთთვიანი კურსი გაიარა, 2013 წლის ხუთი აპრილიდან კი, კომპანია „სილქნეტის" დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსად დაინიშნა.

კომპანია „სილქნეტის" დედოფლისწყაროს სერვისცენტრს ახალი უფროსი ჰყავს,- ზურაბ ჯორკოშვილი. ბატონი ზურაბი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო, ის წლები რუსეთში, ქალაქ ვორონეჟში ცხოვრობდა, ამჟერად ის მშობლიურ კუთხეს დაბრუნდა და თავისი პროფესიით დასაქმდა.

***- ბატონო ზურაბ, როგორია კომპანია „სილქნეტის" დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უახლოესი სამომავლო გეგმა, დედოფლისწყაროს აბონენტები ბოლო დროს საკმაოდ ნელ ინტერნეტმომსახურებას აპროტესტებენ, ელოდებათ, თუ არა თქვენს აბონენტებს რაიმე სიახლე თქვენი კომპანიის მომსახურების მხრიდან, მე ვსაუბრობ იმ აბონენტებზეც, სახელდობრ სოფლების მოსახლეობაზეც, რომლებსაც დაწერილი აქვთ განცხადებები თქვენს სერვისცენტრში, ითხოვენ ინტერნეტს და ფიზიკურად ამ სოფლებში(სოფელ სამრეკლოს და სოფელ ხორნაბუჯს ვგულისხმობ) ინტერნეტი ხელმიუწვდომელია, აღარ მაქვს საუბარი სხვა დანარჩენ სოფლებზე?!***

- ერთი თვის უკან შეხვედრა მქონდა რაიონის გამგებელთან ბატონ ირაკლი შიოლაშვილთან, რომელთანაც მქონდა საქმიანი საუბარი სწორედ ამ საკითხზე,-ინტერნეტმომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გვინდა, დროულად მოხდეს დედოფლისწყაროში ბოჭკოვანი ინტერნეტის შემოტანა, სწორედ ამ საკითხებზე გაიგზავნა ჩემი და ბატონი გამგებლის ერთობლივი წერილი კომპანია „სილქნეტის" გენერალურ დირექტორთან ზურაბ კოსტავასთან, რომლისგანაც ველოდებით ადეკვატურ პასუხს. ფაქტიურად სოფელ ჩალაუბნამდე ბოჭკოვანი ინტერნეტი უკვე მოსულია და გვინდა ჩვენამდე დროულად მოვიდეს, რათა რაიონის სოფლებს უპრობლემოდ მიეწოდოს უკაბელო ინტერნეტი. სწორედ სოფლებში ინტერნეტმომსახურების მსურველთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ბოჭკოვანი ინტერნეტი გარანტი იქნება და მთლიანად მოხსნის მათთვის ინტერნეტის მიწოდების პრობლემას. ქალაქის ინტერნეტმომხმარებელთა საყურადღებოდ კი, მინდა სასიხარულო ინფორმაცია გაგიმხილოთ, რომ ინტერნეტსიხშირე 1 ივლისიდან მოიმატებს და თუ აქამდე ვიღებდით ნახევარ მეგაბიტს, პირველიდან მივიღებთ ერთ მეგაბიტს, რაც იმის გარანტი იქნება, რომ ინტერნეტი ისე ნელა აღარ იმუშავებს, როგორც აქამდე იყო.

***- საინტერესოა, იქნება, თუ არა, ფასში სხვაობა, ბოჭკოვან ინტერნეტსა და DSL (DSL-ის საშუალებით ინტერნეტთან დაკავშირება და მონაცემების გაგზავნა ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზებით ხორციელდება) ინტერნეტს შორის?!***

- ამაზე ზუსტი ინფორმაცია ჯერჯერობით ნამდვილად არ მაქვს, როცა ამ მომსახურების მიღების შესაძლებლობა გვექნება, ალბათ ფასების სტანდარტებს მაშინ გაგვაცნობენ. ვიცი მხოლოდ ის, რომ ამ ეტაპზე ბოჭკოვანი ინტერნეტი აქვთ მხოლოდ მსხვილ ორგანიზაციებს, მაგალითად პოლიციას, სასამართლოს და საკმაოდ სწრაფი მომსახურება აქვთ.

***- ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც თვით ქალაქ დედოფლისწყაროში მოქალაქეს ცუდად ან საერთოდ არ მიეწოდება ინტერნეტი, ხშირად დაზიანება აქვთ და ბინაზე იბარებენ მონტიორებს, რეკავენ 100-100 -ზე, მაგრამ აცხადებენ, რომ დღეები გადის და მონტიორები არ ან ვერ მიდიან მათთან მომსახურებაზე, რატომ ხდება ასე, მონტიორების ნაკლებობას განიცდით, თუ ..?!***

- არა, მონტიორების ნაკლებობას არ განვიცდით, მარტივი ამბავია, აბონენტმა ხშირად არ იცის ის წესი, რაც დაზიანების შემთხვევაში უნდა გააკეთოს, წესით ფიქსირებული ნომრიდან უნდა დარეკონ 100-100-ზე და განაცხადონ დაზიანების შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ კომპანია ჩვენს სერვისცენტრს აწვდის დაზიანებების სიას, რომელიც მეორე დღეს ჩვენი ქსელის გვერდზე მოგვდის, საიდანაც ვიღებთ დაზიანებულთა სიას და სამოქმედო გეგმას, ამის შემდეგ გავდივართ უბნებზე. ხშირ შემთხვევებში აბონენტი მოდის ჩვენს სერვისში და აცხადებს, რომ აქვს დაზიანება და მომსახურებას ითხოვს, რაც არასწორია, მან თუ თბილისში 100-100-ზე არ დარეკა, ასეთი განაცხადებით მათ არავინ მოემსახურება. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა მომხმარებელს, რომ დაზიანების შემთხვევაში დარეკონ 100-100-ზე, ჩვენ მათთან აუცილებლად მივალთ და უსასყიდლოდ, ყოველგვარი გადასახადის გარეშე გავუწევთ დახმარებას.

***- ხომ არ შეიცვალა ამ ეტაპზე ფიქსირებული ტელეფონის და ინტერნეტის დადგმის თავდაპირველი გადასახდელი თანხის ოდენობა?!***

- არა, რჩება იგივე, ფიქსირებული ტელეფონის დადგმისთვის მოქალაქემ უნდა გააკეთოს ჩვენს სერვისცენტრში განაცხადი, ბანკში უნდა აიღოს 40 ლარიანი ქვითარი და იმავე დღეს ვაკეთებთ დადგმას, ამ თანხაში შედის ის მომსახურებაც, რომ აბონენტს უფასოდ ეძლევა 100 მეტრი სატელეფონო საჰაერო კაბელი. თუ, მოქალაქემ მოითხოვა ინტერნეტის დადგმაც, მაშინ ის დამატებით იხდის ბანკში 15 ლარს, წარმოადგენს ქვითარს და ჩვენი სერვისცენტრის თანამშრომლები ყოველგვარი ზედმეტი თანხის გადახდის გარეშე, იმავე დღეს უდგამენ ინტერნეტს.

ლალი მეხრიშვილი

# ორ ნომინაციაში გამარჯვებული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და კომპანია „მაიკროსოფტ საქართველომ" მასწავლებლები დააჯილდოვეს. კონკურსში საქართველოს „ფორუმი პარტნიორები განათლებაში 2013" სულ 3 გამარჯვებული პედაგოგი გამოვლინდა, მათ შორის მოხვდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი რუსუდან გონაშვილი.

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელები კონკურსის მეორე ეტაპზე გასული 24 ნამუშევრიდან დასახელდნენ.

რუსუდან გონაშვილს კონკურსზე წარდგენილი ჰქონდა ორი პროექტი: „დედოფლისწყარო" და „ჩემს კუთხეში გავრცელებული ქართული ენის დიალექტები". ის 600 მასწავლებლიდან ჯერ საუკეთესო 24 ფინალისტში მოხვდა, შემდეგ კი ჟიურის რჩეულიც გახდა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა აგრეთვე ლაიქ ნომინაციაში: „სახელმწიფო ენა". პროექტების პრეზენტაცია მასწავლებლის სახლში გაიმართა, გამარჯვებულები კი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გამოავლინეს.

კონკურსის ფარგლებში მასწავლებლებმა სხვადასხვა სასკოლო საგნებზე შექმნილი ელექტრონული სასწავლო პროექტები წარმოადგინეს. ნამუშევრები ატვირთული იყო მაიკროსოფტის პორტალზე. საუკეთესო პროექტები კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების დეპარტამენტის ექსპერტებმა გამოავლინეს. თითოეულ მათგანს ორგანიზატორებისგან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები გადაეცა.



„პროექტების პრეზენტაციების შემდეგ ოცდაოთხივე ფინალისტს გვქონდა გამარჯვების სურვილიც და იმედიც და ამ იმედით მივედით მეორე დღეს „შერატონ მეტეხი პალასში" დაჯილდოების ცერემონიალზე. ატმოსფერო შესანიშნავი იყო, ყველა კეთილგანწყობილი, უამრავი შესანიშნავი პედაგოგი გავიცანი ამ ფორუმზე და ბევრი მეგობარი შევიძინე. წინა დღით ტელეფონით დამიკავშირდნენ და მაცნობეს, რომ ჩემმა ერთ-ერთმა პროექტმა ლაიქ ნომინაციაში გაიმარჯვა და შესაბამისად, დაჯილდოების ცერემონიალზე მე მეტ სიურპრიზს აღარ ველოდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი, ჩემი მეორე პროექტი გახდა ჟიურის რჩეული და მესამე ადგილი დავიკავე, რაც ჩემთვის სრულიად გამაოგნებელი და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ამ კონკურსმა საკუთარ შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დამარწმუნა, მოტივაცია ამიმაღლა და მომავალი წლიდან კიდევ უფრო მეტი შემართებით შევეცდები მივყვე და განვახორციელო განათლების სისტემაში მიმდინარე ინოვაციები და რეფორმები," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" რუსუდან გონაშვილმა.




მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა კომპანია ინტელთან, მაიკროსოფტ საქართველოსთან და Innovative Systems Management-თან ერთად კიდევ ორ ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვა, ესენია:

ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენება 1:1 ელექტრონული სწავლება ბუკით (1-3 კლასები)

კონკურსის მიზანია ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა. ასევე მასწავლებლების მოტივირება, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირება, მასწავლებლებს შორის კოლაბორაციის და კომუნიკაციის ხელშეწყობა, სწავლა/სწავლების ინოვაციური პრაქტიკების გამოვლენა-გაზიარება.

კონკურსის პარტნიორები არიან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)** დაწყებითი განათლების პროექტი და ბრიტანეთის საბჭო საქართველოში. კონკურსში საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

# პრაქტიკული რჩევები მებოცვრე ფერმერებს



ჩვენ ხშირად მოგვმართავენ მებოცვრე ფერმერები მათთვის აქტუალური საკითხების თაობაზე, გთავაზობთ ძირითად რჩევებს, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობაში მნიშვნელოვნად წაგადგებათ.

1) ბოცვერს უნდა ჰქონდეს: სუფთა, მშრალი და ორპირი ქარისგან დაცული ადგილი.

2) 3-5 კარგი მერძეული დედიდან შეგიძლიათ მიიღოთ 320კგ წონის 100 მდე მოზარდი.

3) უნდა ვერიდოთ ნათესაურ შეწყვილებას.

4) ადრე გაზაფხულის ბაჭია ყოველთვის უფრო სიცოცხლისუნარიანია

5) დედალი ბოცვერი უმჯობესია შევაჯვაროთ 5-6 თვის ასაკში.

6) შეჭყვილების დროს დედალი ბოცვერი უნდა ჩავუსვათ მამალს და არა პირიქით.

7) შეწყვილების დროს გალიიდან უნდა ამოვიღოთ ყველანაირი ინვენტარი .

8) დაგრილებიდან 5-6 დღის შემდეგ განმეორებით ისევ ვსვავთ მამალთან გადასამოწმებლად.

9) დაბაჭიანებამდე 5-6 დღით ადრე უნდა ჩაუდოთ გალიაში ყუთი

10) მრავალი დაბაჭიანების დროს უნდა ჩავდგათ ორი ბუდე და ბაჭიები გადავანაწილოთ.

11) დაბაჭიანების დროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წყალი

12) ბოცვერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საღრღნელი რაიმე ნივთი.

13) მოზარდი დედებისათვის წელიწადში საჭიროა

კონცენტრირებული საკვები — 50კგ
თივა — 50კგ
ძირხვენა — 60კგ
მწვანე მასა — 190კგ

14) ზრდასრულ დედალს და მამალს მოსვენების პერიოდში უნდა მიეცეს

45% - კონცენტრატი
15% - უხეში საკვები
40% - ძირხვენები

ლაქტაციის დროს ეს რაციონი იზრდება 3-ჯერ.

15) შეწყვილების და მაკეობის დროს რაციონები — დღიური

მარცვლოვნები 90 -100გრ.
მზესუმზირა კოპტონ. - 35გრ
თივა - 180გრ
ძირხვენები — 250გრ
მარილი — 1გრ

16) არა არის რეკომენდირებული მწვანე მასის გამოშრობის გარეშე მიცემა

17) ასალოკი მარილი უნდა ეძლეოდეს მუდმივად.

***ბოცვერის შერჩევისთვის უნდა გავითვალისწინოთ ბოცვრის ტიპები:***

1) უხეში ბოცვერი — ამ ტიპის ბოცვერს აქვს უხეში თავი, მასიური ძვლები, უხეში ტყავი, ძლიერი კუნთები, უხეში ბეწვი.

2) მაგარი ბოცვერი — ამ ტიპის ბოცვერს ახასიათებს ნაკლები ცხიმიანობა, თავი მომრგვალო ან მოგრძო. ძვლები მაგარი მკერდი ფართოდ ჩაღრმავებული ტანი მოგრძო, კანი ელასტიური, ასეთი ბოცვერი გამოიყენება სანაშენედ.

3) ნაზი ბოცვერი - ხასიათდება სუსტი ძვლებით, ელასტიური ტყავით, აქვს ნაკლებად განვითარებული კუნთები. ასეთი ტიპი იწუნება.

4) ფუმფულა აგებულების ტიპი — ხასიათდება ძალიან სუსტი ძვლებით, კუნთები გაფუებული , ბეწვი რბილი და თხელი.

საჯიშე — მუშაობა

საჯიშე მიმართულებით შეჯვარებისას სასურველია შეირჩეს მაღალპროდუქტიული ბოცვრები.

### შესაძლებელი წარმოებითი შეჯვარება

მამალი - დედალი
თეთრი გოლიათი -შინშილა
ნაცრისფერი გოლიათი - ვერცხლისფერი
შინშილა -ვენური ცისფერი
შინშილა - ახალზელანდიური
კალიფორნიის - თეთრი გოლიათი
კალიფორნიის -ვენური ცისფერი
კალიფორნიის - შავი-კვამლისფერი
ახალზელანდიური -თეთრი გოლიათი
ახალზელანდიური - ვენური ცისფერი
ახალზელანდიური - შინშილა
ახალზელანდიური - შავი-კვამლისფერი
შავი-კვამლისფერი - კალიფორნიური
შავი-კვამლისფერი - ახალზელანდიური

## ბოცვრის დაავადებები

### ინფექციური სტომატიტი

ამ დაავადებას უწოდებენ "სველი ცხვირი" ავადდება ასხლეტილი ბაჭიები. დაავადება ხასიათდება ლორწოვანი ჯირკვლების ანთებით, შემდეგ ენაზე ჩნდება ნადები რომელიც თეთრი ფერისაა და მოწითალო. პირის ღრუში ვითარდება ლორწოვანი წყლულები, გადმოდის ლორწო. მკურნალობა: გამოიყენება პირის ღრუს სავლები ხსნარი "იოდზეფი" 5-10% იანი ხსნარი. დღეში 1-2ჯერ 5-7 დღე. საინექციოდ გამოიყენება: პენბექსი და იზპენსტრეპი.

### ინფექციური სურდო

ხასიათდება ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებით, ცხოველი ხშირად აცემინებს და ახასიათებს ცხვირიდან გამონადენი, ბოცვერი იფხანს ცხვირს. დაავადებული ცხოველი უნდა დაიკვლას.

### პასტერელოზი

მწვავე დაავადებაა. დიდ ზარალს აყენებს მეურნეობას. დასაწყისში იწყება ტემპერატურის მატება, სუნთქვის გაძნელება, უმადობა, ხშირია ფაღარათიც. გამოიყენება: ქსიტეტრაციკლინი 200, ტრომექსინი,დას, ფუროქსი, იზამოქსი

### ლისტერიოზი

ლისტერიოზი ინფექციური დაავადებაა. ძირითადად ემართება მაკე ბოცვერს. დაავადების ზემწვავედ მიმდინარეობის შემთხვევაში მომენტალურად იხოცება ბოცვერი, ხოლო მწვავე მიმდინარეობის დროს კი ადგილი აქვს აბორტს. აბორტის შემდეგ ემართება უკანა კიდურების დამბლა.

პათანატომიური გაკვეთისას აღინიშნება ელენთის გადაგვარება, ღვიძლზე თეთრი პარკუჭები, მკურნალობა მიუღებელია!

### მიქსომატოზი

ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება თვალების დაზიანებით, სხეულის სხვადასხვა ადგილებში სიმსივნური კვანძების წარმოქმნით.

ცხოველს ორივე თვალიდან გამოსდის ჩირქოვანი გამონადენი, ყურებში წარმოიქმნება ჩირქოვანი კვანძები, თავი აქვს შეშუპებული, ლორწოვანი გარსების სილურჯე. მკურნალობა არ არის შემუშავებული.

### მასტიტი

დასაწყისში შეინიშნება სარძევე ჯირკვლის სიწითლე ხელით ჩამოწველისას გამოდის ჩირქოვან-სისხლოვანი ექსუდატი.

სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები და მალამოები.

### კოქციდიოზი

ავადდება 1,5-5 თვემდე მოზარდი, დაავადება ლოკალიზდება: ღვიძლში, კუჭნაწლავში, წვრილ ნაწლავში, მსხვილ ნაწლავში.

დაავადების დროს ბოცვერი ბევრს სვავს, მუცელი შებერილი აქვს, ბეწვი აბურძგნულია, ეწყება ფაღარათი. სამკურნალოდ გამოიყენება: ბიოკოკცი, ტრომეკსინი, სულტრიმი, ნორსულფაზოლი.

### მკრეჭავი —სირსველა

გამომწვევია სოკო. ბოცვერს ეწყება ბეწვის ცვენა, ცხვირის, თვალის, ყელის, ფეხის მიდამოებში. საწყის სტადიაზე შეიძლება მისი მკურნალობა. იოზეფის 10%, დასი და სხვა.

გახსოვდეთ, ბოცვრის მოშენებისთვის აუცილებელია აცრა ვაქცინით "მიქსოჰემოვიროვაკი", 0.5 მლ ერთ სულზე.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ვეტერინარ ექიმთან ცხელ ხაზზე 597141093.**

დავით ბოსტაშვილი,
„ასოციაცია მომავლის ფერმერი", ვეტკონსულტანტი, ვეტერინარიის დოქტორანტი







აგროქიზიყი
AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შეადგენს 5000 ლარს

„აგროქიზიყი"
გთავაზობთ
მსოფლიოში
გავრცელებული
მაღალ პროდუქტიული
მერძეული
და მეხორცული ჯიშის
ბუღის სპერმას
ჩვენი სპეციალისტები
კონსულტაციას
ადგილზე გაგიწევენ



პირველი 50
მსურველისთვის
სპერმის
ღირებულებასა და
მომსახურებაზე
გავრცელდება 50%-
იანი ფასდაკლება
დარეკეთ ნომერზე:
599 56 71 31

# გარდამავალი თასის გათამაშება არხილოსკალოში

23 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს სტადიონზე ჩატარდა სოსო წიკლაურის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი, რიგით მეექვსე, ტრადიციული ტურნირი გარდამავალ თასზე ფეხბურთში. ასპარეზობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

შეჯიბრში მონაწილეობდა ქ. თბილისის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, თელავის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების 12 გუნდი. მათგან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სოფლების — ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, სამთაწყაროს, ფიროსმანისა და ზემო მაჩხაანის გუნდები.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გუნდმა. გუნდის მეკარეს — მამუკა წიქარაშვილს გადაეცა ტურნირის გარდამავალი თასი, ხოლო მეორე ადგილზე გავიდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდი. ორივე გუნდს, პრიზის სახით, გადაეცა ცხვარი.

როგორც კულტურისა და სპორტის ცენტრი იუწყება, ტურნირზე, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი, დიპლომი და თასი გადაეცა ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდის წევრს სოსო ხუბეცოვს. საუკეთესო გუნდის პრიზი და დიპლომი გადაეცა ლაგოდეხის გუნდს. საუკეთესო მეკარის პრიზითა და დიპლომით დაჯილდოვდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდის მეკარე დიმიტრი გარაქლოვი.





საუკეთესო მსაჯის ტიტული მიენიჭა, პრიზი და დიპლომი გადაეცა სოფელ არხილოსკალოდან მალხაზ მერაბიშვილს. საუკეთესო გოლიადორის პრიზი და ჯილდო წილად ხვდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გუნდის წევრს ირაკლი მაჭავარიანს. მაყურებლის სიმპათიის პრიზი და ჯილდო კი გადაეცა ზაზა კობაიძეს სოფელ არხილოსკალოდან.

საუკეთესო გოლის ავტორი გახდა ქ.თბილისიდან გიორგი ახვლედიანი, რომელსაც გადაეცა შესაბამისი დიპლომი და პრიზი.

ტურნირს მსაჯობდნენ: შალვა ჩოხელი, ზურაბ ჩალაბაშვილი, ზურაბ ამირიძე, აკაკი მაჩაბლიშვილი და მალხაზ მერაბიშვილი.

აღნიშნული ტურნირი, დამსწრე მწრთვნელების მიერ აღიარებული იქნა, როგორც ყველაზე საუკეთესო და მაშტაბური ტურნირი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უმაღლესი ლიგის ლეგიონერები თამაშობდნენ თავიანთი მუნიციპალიტეტების გუნდის შემადგენლობაში.

# გულწრფელი პოეზიის მადლით ცხებული...

გელა ბექაური ნამდვილი ქართველია, გამორჩეული გარეგნობით და პატრიოტული სულისკვეთებით. თბილისში გაზრდილმა ახალგაზრდამ საცხოვრებლად მაინც მშობლიური სოფელი აირჩია და ოჯახით ზემო ქედში დასახლდა. სკოლის ასაკიდან ჭიდაობდა, მკლავჭიდში საქართველოს შვიდგზის პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტიც იყო, დღეს სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა, ბავშვებს ძიუდოსა და მკლავჭიდში ავარჯიშებს. „არანაირი ინვენტარი არ გვაქვს, იმედია, მისი შეძენის შემთხვევაში ბავშვების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება“- იმედს ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობაზე ამყარებს ჩვენი რესპოდენტი.

ამჯერად მისი რედაქციაში სტუმრობის მიზეზი სპორტ-



ზე საუბარი ნამდვილად არ გახლავთ. გელას სამი წელია, რაც ლექსის მუზა ესტუმრა და პოეზიასთან წილნაყარი გახადა. მისი ლექსები სამშობლოს სიყვარულითაა განმსჭვალული, მისი უბედობა აწუხებს და ტანჯავს. ბავშვობიდან საკმაოდ კარგი დეკლამატორი იყო, სტუდენტობისას ხშირად წერდა კაფიებს. ყოველთვის გამორჩეულად უყვარდა საქართველო, პირველი ცრემლიც ფილმმა „გიორგი სააკაძემ“ მოჰგვარა... ამბობს, რომ მთის გენმა თავისი გაიტანა და კაფიების წერა ლექსებში გადაიზარდა. დიდი ხნის მანძილზე მონაწილეობას მხოლოდ ხევსურულ და მთის პოეზიის საღამოებზე იღებდა. სულ ახლახანს კი ტაძრების მშენებლობისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტებზეც მოხიბლა მსმენელი თავისი გულწრფელი პოეზიით. გთავაზობთ მის ლექსებს.

ინგა შიოლაშვილი

სამშობლოს გარეთ ნუ
მომკლავ, ღმერთო!
ამ ერთ სათხოვარს ნუ დამ-
ზარდები,
ქართულ მიწა-წყალს ნუ
მომწყვეტ ჩემო,
ქართული ტაძრის მწყურა
სანთლები.
ქართულ სატკივარს რად
სტირი ცრემლო?
რატომ მოხეთქა თვალმა
ღვარები!
მამულის სუნთქვას რას
ვანაცვალებ
მიწა- წყლის ლოცვით ზეცად
ვმაღლდები.
ქართულ სიხარულს თან
დასდევს სევდა
განუყრელია ბედის განცდე-
ბი,
მის სასიცოცხლოდ დანათის
მზე და
დაგუგუნებენ მველი ზარები.
ქართულ გენიას ვერ ჩავწვდი
ჯერაც
უსასრულოა... მადლით
ნადენი,
ღვთისმშობლის ლოცვა
გვმფარველობს დღესაც
დაულევია უფლის ალერსი.
ქართული ვაზის ამოვჭრელეტ
მტევანს
ღვთის სადიდებელს მირონს
დავდენი,
ქართულ სიყვარულს ვავე-
დრებ ღმერთს და
მის სათაყვანოდ გულით
დავმღერი.
სამშობლოს გარეთ ნუ
მომკლავ ღმერთო...

* * *

ქუდზე კაცი და მანდილზე ქალი
დღეს ერთხმად უჭირს ჩვენს
საქართველოს,
დავიხსნათ სული, ჩავკლათ
ბოროტი
კიდევ გათენდეს დღე სასახე-
ლო.
დავრაზმოთ ერი, ერთ მუშტად
შევკრათ
დავაგუგუნოთ რისხვისა ექო,
კბილი კბილის წილ, მხარი
მხარს მივცეთ
გული გერჩოდეს სამასად
ერთო.
დავლეწოთ ბჭენი, ვხიოთ
აბჯარი
ზღვად აბობოქრდი სისხლისა
წვეთო,
ქართველო რისხვით დაეც
თავზარი
მერე თუნდაც რომ საფლავი
გერგოს.
ალესეთ ხმალი, აჩეხეთ მტერი
გამოიღვიძე ღალატის კერძო,
ქუდზე კაცი და მანდილზე ქალი
საქართველოში ერთობით
ენთოს.

* * *

ქართველობაც აღარ დაგვი-
ტოვეს,
მამული ჰირწმინდად აგვიო-
ხრეს,
სული ჩაგვიკლეს და გაგვითე-
ლეს
ლახვარი საგულეს ჩაგვიტო-
ვეს,
სინდის-ნამუსიც კი შეურყვნე-
ლი
გესლით და სამსალით დაგვი-
თოფეს,
ბავშვობაც წაგვართვეს სათნო,
წმინდა,
ოცნებებიც კი არ დაგვიტოვეს.
ცხოვრება წაგვგლიჯეს, ოჯახ-
ში გვეჭრებიან,
მუხის სასახლენი ცულის
ტრით დაგვილეწეს,
წინაპართ საძვალეს სიბილწით
ეხებიან,
ვაზი ამომირკვეს, შხამი დაგ-
ვითესეს.
წვერი ჩამოგვპარსეს, ჩოხა
ჩამოგვხიეს,
ქუდი წაგვგლიჯეს და ურცხვად
გამოფინეს,
მანდილი გათელეს, სიმვა
აფოფინეს,
ნაკაცარ სხეულებში სოდომი
აბოგინეს.
ქართველობა აღარ დაგვიტო-
ვეს,
სული კლეს, სხეული დაგ-
ვიხოკეს,
ზეცად აპყრობილი მაშვრალი
ხელები
ბნელეთის მალებით დაგვი-
ბორკეს.
ქართველობა აღარ დაგვიტო-
ვეს,
ქართველობა აღარ დაგვიტო-
ვეს!

* * *

რას წარმოვიდგენდი თუ დავი-
ნახავდი ჩემი სამშობლოს ამისთანა
ყოფას,
თუ ესე დაკარგავდა საქართვე-
ლო საკუთარ სახეს,
მოგვივიდა დრო როდესაც
თავად ვამბობთ უარს
თავად აღარ გვინდა და აღარც
ვგავართ ქართველს.
განა წარმოიდგენდა წინაპარი
ჩვენი!
ღვაწლმოსილ-ნატანჯი ბრძო-
ლას და გარჯაში,
განა იწინასწარმეტყველებდა
ჩვენი ბრძენი წარსული
ასე დაკნინების ზღვარზე თუ
აღმოჩნდებოდა-მისი მომავალი!
აღმოჩნდებოდა საკუთარი
უნიათობით, უმეცრებით, უსულგუ-
ლობით
ასე ადვილად რატომ ველევით
ბებერი საუკუნეებით ნაგროვებ
სიბრძნეს
და ის მცირედი რაც დაგვიტოვეს
საკუთარ ნებით მივართვით ხონჩით
რაც წაგვართვეს კი ერის სინდი-
სია..ესაც არ გვესმის.
ნუთუ დაიკარგა ადამიანური
სიბრძნე ქართველ კაცობასთან
გაიგავებული!
და ღვთით მოვლენილმა ვეღარ
აზიდა ტვირთი ჭეშმარიტებისა,
როცა ეს ყველაფერი ურცხვადაა
გამომზეურებული
დაკნინდა შეგონება... მხოლოდ
ჩრდილია მველი დიდებისა.
თითქოს ეს არ კმაროდა მან-
დილსაც შეახოცეს
მრუშობის ლაბირინთი აუგი
ჩვევებით,
დედა სამშობლო რომ აღარ
გვინდა
ვეღარც ღვთისმშობელთან ვერ
მოვთქვამთ ვედრებით.
მიწასაც რომ ვკარგავთ, უფრო
კიდევ ნებით,
სისხლით, ისტორიით, მდლით
გაჯერებულს,
მამა-პაპათაგან ერთგულად
ნაფერებს
სხვას რომ უფრო უყვარს-ასე
დაჯერებულს.
იქნებ ვიმსახურებთ რაც კი რამ
გვჭირია!
იქნებ ერსაც მოეკითხა ნაღვარი
ცოდვები,
ესე მოკლე ხანში როგორ
ჩამოგვენგრა
უფლის წყალობა და ნალოცი
ფრესკები.
რას წარმოვიდგენდი თუ ასე
გაურკვეველი იქნებოდა-ჩვენი
მომავალი,
სოდომ-გომორივით თუ აირეო-
და ქვეყნის შიგნეული,
ჩოხა აღარ გვინდა, სიმღერა
დავკარგეთ, სიტყვა შემოგვადნა
უცხოთ კარგად ვბაძავთ,
წარსულში შემოგვრჩა მხოლოდ
ღირებული.
ერი ვეღარ მრავლობს, აკვანს
აღარ ვარწევთ,
შვილთა თვალებს ვკარგავთ,
ვკარგავთ ქართულ სახელს
დედის გულიც ვეღარ ამბობს,
გაქრა იავნანა
ვეღარც ქართულად ვმეტყველე-
ბთ, ვკარგავთ მის მველ სახეს.
ერის შვილნო გამოფხიზლდით,
გავუმკლავდეთ ბედს
აღვსდგეთ ცოცხალ სამარიდან,
რაც შეშვენის ერს,
მედგრად ვზიდოთ ჭირ-ვარამი,
ერის სვე და ტვირთი
ქართველები ქართველებად მივე-
ბაროთ ღმერთს.

# მესაზღვრეებმა კელიების მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა

შსს სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, ელიას მთაზე სასულიერო პირთა კელიების მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა. ინიციატივა მე-4 სამმართველოს უფროსს დავით ჯალიაშვილს ეკუთვნის.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოებში სასაზღვრო სამმართველოს სამი ოცეული ჩაერთო, მათ შორის სპეცრაზმის თანამშრომლებიც.

შეგახსენებთ, უსახსრობის გამო ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერთან სასულიერო პირების საცხოვრისის მსენებლობის პროცესი შეჩერებული იყო,



შემოწირულობების წყალობით პროცესი უკვე დაიძრა.

მშენებლების განმარტებით, მათ 25 ტონამდე ცემენტი და 2000 ცალი საკედლე ბლოკი ესაჭიროებათ. ისინი შემოწირულობას სამშენებლო მასალებითაც ელიან.

**გაიღეთ შემოწირულობა, დაეხმარეთ მონასტერს კელიების მშენებლობაში!**

ნუგზარ ყარაგვეზაშვილის ფოტორეპორტაჟი



# პატრიარქმა სარდალაშვილების გვარი დალოცა




2013 წლის 23 ივნისს თბილისში სამების საკათედრო ტაძარში, პირველად სოფელ სამთაწყაროს ისტორიაში მცხოვრები გვარებიდან პატრიარქმა დალოცა სარდალაშვილები. გვარის წინამძღოლია კახა გურამის ძე სარდალაშვილი, რომლის ინიციატივითაც დაიწერა საგვარეულო ხატი, ასევე კავშირ „გვარიშვილობის“ საარქივო მასალებთან მუშაობის შედეგად, კახა სარდალაშვილის და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან ურთიერთთანამშრომლობით



სარდალაშვილების გვარი შევიდა თავადაზნაურთა კრებულში.

გარდა იმისა, რომ კახა სარდალაშვილის ინიციატივით მოხდა გვარის დალოცვა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი ეხმარება სოფლის სამლოცველოს ხატებით თუ შემოწირულობებით, მის სახელს სოფლის მოძღვარი მამა ზაქარია ყოველ ლოცვაში



მოიხსენიებს მადლიერების ნიშნად. ის ასევე აპირებს სოფელში მიტოვებული საგვარეულო სალოცავის (ნიშის) აღდგენას.

# ი ც ი თ  თ უ  ა რ ა ,  რ ო მ ...

### მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო

კარტოფილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. იგი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის აბორიგენებმა აღმოაჩინეს, დასავლეთ ევროპაში კი მე-16 საუკუნეში მოხვდა კოლუმბის შემწეობით. თავდაპირველად კარტოფილს, როგორც დეკორატიულ მცენარეს, იტალიისა და ესპანეთის ბოტანიკურ ბაღებში ახარებდნენ. მის ბოლქვებს პირველად ესპანელებმა გაუსინჯეს გემო, თანაც უმს! საკვებად კარტოფილის ფართო მოხმარება კი მე-16 საუკუნის ბოლოს იტალიაში დაიწყო. თავდაპირველად მას პერუულ მიწის კაკალს ეძახდნენ, მერე ტრიუფელთან მსგავსების გამო "ტარტუფოლი" შეარქვეს, გერმანელებში ეს სახელი გადასხვაფერდა და "ტატროფელად" იქცა. ღარიბ ინგლისელებსა და ირლანდიელებს კარტოფილი შიმშილობის წლებში პურის მაგივრობას უწევდა. რუსეთში ეს პროდუქტი მე-17 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა - ჰოლანდიაში მყოფმა პეტრე I-მა პარკით გამოგზავნა რუსეთში დასათესად. მე-18 საუკუნის ბოლოს კი ფართოდ გავრცელდა ბალტიისპირეთშიც. დღეს კარტოფილს მთელ მსოფლიოში მიირთმევენ და ძალიან უყვართ.

### კარტოფილის თვისებები

კარტოფილის ბოლქვები მდიდარია: სახამებლით (დაახლოებით 24%), ვიტამინებით (C, B ჯგუფის, DE, E); მიკროელემენტებით (R, Mg, Zn, Fe, P), ცილებით, ორგანული მჟავებით. კარტოფილი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმიდან ჭარბი მარილებისა და სითხის გამოყოფას. იმის წყალობით, რომ უხვად შეიცავს სახამებელს და უმნიშვნელო ოდენობით - უჯრედისს, ნახშირწყლებსა და ცილებს 80-90%-ით ითვისებს ორგანიზმი, განსაკუთრებით - პიურედან. გაითვალისწინეთ: კარტოფილის ქერქში უფრო მეტი მინერალი და ვიტამინია. მათ შესანარჩუნებლად კარტოფილის ბოლქვები ქერქიანად შეწვით ღუმელში ან მოხარშეთ. ახალ კარტოფილში უფრო მეტი ჩ ვიტამინია, ვიდრე ძველში. რეცხვისას კარტოფილი კარგავს სახამებელსა და ჩ ვიტამინს, მათთან ერთად კი ნიტრატებსაც. უმჯობესია, რეცხოთ გამდინარე ცივი წყლით.

### კარტოფილი ხალხურ მედიცინაში

უმი კარტოფილის ნაჭრებს ალერგიული ლაქების, დამწვრობის შემდგომი ნაკვალევის მოსარჩენად იყენებენ. დააფინეთ ასეთ ადგილებზე თხელი, მრგვალი ნაჭრები. უმი გახეხილი კარტოფილი უხდება ჩირქოვან ჭრილობებს, ფურუნკულებს (ძირმაგარას). უმი კარტოფილის წვენი, როგორც სუფთა სახით, ისე სხვა ბოსტნეულის წვენთან ერთად, კარგია საჭმლის მომნელებელი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და ნერვული დარღვევების, ანემიისა და რეგულარული თავის ტკივილის დროს. ქერქიანად მოხარშული კარტოფილის ორთქლის ინჰალაცია ძალიან ეფექტურია გაციების, ზედა სასუნთქი გზების დაავადებებისა და სურდოს დროს.

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ინგა, ირმა, ეთერ და ვანო შიოლაშვილებს!

გილოცავთ ქალიშვილის, დისშვილის და შვილიშვილის - ქეთი მუშკუდიანისა და დავით ყოჩიაშვილის ბედნიერებას. ღმერთსა ვთხოვ, რომ ქეთი ახალ ოჯახშიც ისეთივე საყვარელი და ბედნიერი იყოს, როგორც თქვენთან.

ჩემო საყვარელო ინგა, ვიცი, პირველ ხანებში დედისთვის რა ძნელია ქალიშვილის გათხოვება, მითუმეტეს შენთვის, რომელიც მთელ შენს ენერგიას და ძალას ერთადერთი შვილის ღირსეულად აღზრდას სწირავ. იმედია, ქეთის ბრწყინვალე მომავალი ექნება და შენი ღვაწლიც დაფასდება.

ლამაზო, კეთილო და სათნო, ქეთი და დათო, გილოცავთ ბედნიერებას, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიყვარულს, მრავალშვილიანობას და რაც ყველაზე მთავარია, დღევანდელი სიყვარული მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე, სიბერემდე გაგყოლოდეთ. ისეთი სანიმუშო ოჯახი შეგექმნათ, რომ ყველა ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის მისაბაძი ყოფილიყოს.

ქალბატონო ეთერ და ვანო, გილოცავთ შვილიშვილის - ქეთის გაბედნიერებას, სულ მალე შვილთაშვილის დაბადებაც მომელოცოს.

**კეთილი სურვილებით,**

კლარა ოზაშვილი და გუგული ალადაშვილი ოჯახით.

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ქეთევან მუშკუდიანს!

### დავით ყოჩიაშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ მარადიული სიყვარულით გამთბარი, ლამაზი და მყარი ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნას. ბედნიერება, წინსვლა და სიყვარული დაგბედებოდეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ჩვენო საყვარელო ქეთი, შენ ჩვენს კოლექტივში გაიზარდე და დაფრთიანდი, გვინდა, რომ შენი ყოველი ნაბიჯი წარმატებული იყოს, დაგილოცავთ ახალშექმნილ ოჯახს. გახსოვდეს, ჩვენ მუდამ შენს გვერდით ვართ.

გაზეთ „შირაქის“
რედაქციის თანამშრომლები

### ინგა, ირმა, ეთერ და ვანო შიოლაშვილებს!

გილოცავთ თქვენი საყვარელი ქეთის ბედნიერებას. ალალი იყოს თქვენი დიდი ამაგი მასზე.

ქეთი მუშკუდიანს და დავით ყოჩიაშვილს ულევ სიხარულს,სიყვარულს და აკვანთა სიმრავლეს ვუსურვებთ.მთელი ცხოვრება საგზლად გაჰყვეთ ის სიყვარული,რომელმაც მათ ოჯახი შეაქმნევინა.დალოცვილები იყვნენ და უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეთ.

თქვენც გაიხარეთ მათი ბედნიერებით.

**პატივისცემით**

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის
თანამშრომლები

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 01.07 | | სამშაბათი 02.07 | | ოთხშაბათი 03.07 | | ხუთშაბათი 04.07 | | პარასკევი 05.07 | | შაბათი 06.07 | | კვირა 07.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 26 ° | 23 ° | 25 ° | 20 ° | 22 ° | 20 ° | 22 ° | 21 ° | 23 ° | 21 ° | 25 ° | 22 ° | 26 ° | 22 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K